ხელშეკრულება

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ #107

ქ. სიღნაღი

12 ივლისი 2017 წელი

ერთის მხრივ სიღნაღის მუნიციპალიტეტის გამგეობა (შემდგომში „შემსყიდველი“) წარმოდგენილი გამგებლის დავით ჯანიკაშვილის სახით და მეორეს მხრივ ი/მ ,,ირაკლი ჯიქურაშვილი'' (შემოდგომში „მიმწოდებელი“) წარმოდგენილი ირაკლი ჯიქურაშვილის სახით, სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობისა და მიმწოდებლის სატენდერო წინადადების საფუძველზე, NAT170005732 ელექტრონული ტენდერის აუქციონის გარეშე ჩატარების შედეგად დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინების განმარტებები

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ (შემდგომში ხელშეკრულება) - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით. ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლიარად ქართულ ენაზე. აქედან ერთი ეგზემპლიარი გადაეცემა მიმწოდებელს, ერთი - შემსყიდველს.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება“ - ხელშეკრულების ჯამური ღირებულება, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულების სანაცვლოდ.

1.3. „შემსყიდველი“ - ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.4. „მიმწოდებელი“ - პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურებას ხელშეკრულების ფარგლებში.

1.5. „მომსახურება“ - ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

1.6. „დღე“, „კვირა“, „თვე“ - კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.7. „ტექნიკური დავალება“ – NAT170005732 ელექტრონული ტენდერის სატენდერო დოკუმენტაციის ტექნიკური დავალება, რომელიც დაერთვეა ხელშეკრულებას როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

2.ხელშეკრულების საგანი

2.1 ხელშეკრულების საგანია სოფ. ილიაწმინდაში სკვერის კეთილმოწყობის სამუშაოები

2.2 ხელშეკრულებით გათვალიწინებული მომსახურების აღწერა მოცემულია ტექნიკურ დავალებაში.

2.3 3.ხელშეკრულების ღირებულება და ანგარიშსწორების წესი

3.1 ხელშეკრულების ღირებულება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით შეადგენს 36021 (ოცდათექვსმეტი ათას ოცდაერთი) ლარს. დ.ღ.გ ჩათვლით

3.2 მხარეები ანგარიშსწორებას ახორციელებენ უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ლარში, ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ რეკვიზიტებზე.

3.3 დაფინანსების წყარო: სიღნაღის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი

3.4 საავანსო ანგარიშსწორება არ გამოიყენება

3.5 შემსრულებლის მიერ დაფიქსირებული ფასი წარმოადგენს ხელშეკრულების ღირებულებით პარამეტრებს, რომლის შეცვალა დასაშვებია მხარეთა შეთანხმებით.

3.6. ხელშეკრულების ღირებულების პარამეტრების და მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია თუ ამით იზრდება ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

3.7 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემტხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობის გაზრდა.

4. შესყიდვის კლასიფიკატორის კოდი

4.1 შესყიდვის ობიექტის კლასიფიკატორის კოდი : 45200000

მუხლი 5. სამუშაოს გაწევის ადგილი და ვადა

5.1 სამუშაოს შესრულების ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 45 კალენდარული დღე, 26 აგვისტოს ჩათვლით

5.2 სამუშაოების ადგილი სოფ. ილიაწმინდა

5,3 შემსრულებელი ვალდებულია სამუშაოები დაიწყოს ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუმეტეს 5 კალენდარულ დღეში

მუხლი 6. შესყიდვის ობიექტის ინსპექტირება და მიღება-ჩაბარების წესი

6.1 შესყიდვის ობიექტი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ. სიღნაღის მუნიციპალიტეტის გამგეობის ინსპექტირების ჯგუფსა და მიმწოდებელს შორის შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში

6.3 ხელშეკრულების შესრულებაზე კონტროლს, ტექნიკურ ზედამხედველობაზე და ხელშეკრულებით გათვალისიწნებული მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებაზე პასუხისმგებელ პირებს წარმოადგენენ:

1. ბერდო ასანიშვილი
2. ბორის ინაშვილი
3. ვასილ უსუფაშვილი
4. ილია ბაიდოშვილი

6.4 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

6.5 არაჯეროვნად შესრულებული სამუშაოების დაფიქსირება ხდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის მიერ კომისიური წესით შედგენილ აქტში, რის შემდეგაც მიმწოდებელს არ უნაზღაურდება დეფექტებით შესრულებული სამუშაოთა ღირებულება.

6.6 იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებლის მხრიდან - შესრულებულ სამუშაოთა წარმოდგენილი მოცულობები, შემსყიდველის მიერ გადამოწმების შემთხვევაში არ შეესაბამება რეალობას, შემსყიდველი სათანადო აქტის შედგენის შემდეგ არ უნაზღაურებს მას აღნიშნულ სამუშაოთა ღირებულებას და განიხილავს ამ უკანასკნელის პასუხისმგებლობის საკითხს.

მუხლი 8. მხარეთა უფლება - მოვალეობანი

8.1 შემსყიდველი უფლებამოსილია:

8.2 ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება,

8.3 შემსყიდველი ვალდებულია:

8.4 უზრუნველყოს მიმწოდებლის მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პიროების დაცვით.

8.5 დაუყოვნებლივ აცნობოს მიმწოდებელს რაიმე დეფექტის ან ნაკლის აღმოჩენის შესახებ.

8.6 მიმწოდებელი უფლებამოსილია:

8.7 მოსთხოვოს შემსყიდველს მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დავით.

8.8.მიმწოდებელი ვალდებულია:

8.9 გასწიოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება სათანადო ხარისხითა და სრული მოცულობით იმ ვადაში, რომელიც მითითებულია ხელშეკრულებაში.

8.10 **შესრულებული სამუშაოს საგარანტიო ვადაა- 2 წელი** . სამშენებლო სამუშაოების ჩაბარებიდან 2, წელი , რომლის განმავლობაშიც შემსრულებელი ვალდებულია აღმოფხვრას შესრულებულ სამუშაოზე წარმოქმნილი ყველა დეფექტი ან ნაკლი, შემსყიდველის წერილობითი მოთხოვნიდან მაქსიმუმ 20 კალენდარულ დღეში

მუხლი 9. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

9.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის, ვადის გადაცილების შემთხვევაში მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0,1% ოდენობით.

9.2 საჯარომო სანქციის გადახდა არ ათავისუფლებს მომწოდებელს ძირითადი მოვალეობის შერულებისაგან.

9.3 იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 10%-ს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

მუხლი 10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა. ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

10.2 შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შესყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება, ასევე დააკისროს შემსრულებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის გამოწვეული ზიანის ანაზღაურება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

10.3 შემსყიდველს ასევე უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება:

ა) თუ მიმწოდებელი არ არსრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას, მათ შორის: **გეგმა გრაფიკის ვადების დარღვევა,**

ბ) თუ მიმწოდებელი სისტემატიურად ან/და უხეშად არღვევს ხელშეკრულების პირობებს,

გ) იმ შემთხვევაში თუ ხელშეკრულების დარღვევისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს 10%-ს.

დ) მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში.

ე) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.

ვ) ამოიწურა ხელშეკრულების გარანტიით განსაზღვრული თანხა და მიმწოდებელმა არ წარმოადგინა ახალი გარანტია

10.4 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებებისგან

10.5 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

მუხლი 11. დაუძლეველი ძალა

11.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშNული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშNულის არსებობის შემტხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

11.2 დაუძლეველი ძალა ეს არის ის გარემოება, რომელიც არ არის დაკავშირებული შემსყიდველსა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომელსაც გააჩნდა წინასწარი გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იყოს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

11.3 თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებას, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წაინააღმდეგ შემტხვევაში მხარე არ განთავსიუფლდება ნაკისრი ვალდებულებისაგან.

11.4 მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

მუხლი 12. დავები და მათი გადაწყვეტის

12.1 ხელშეკრულების მოქმედების პროცესში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით.

12.2 შეთანხმების მიუღწევლობის შემტხვევაში დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 13. სხვა პირობები

13.1 ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი პირობების დადგომის შემთხვევაში მხარეთა შორის ურთიერთობა რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

13.2 მიმწოდებელს არ აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე.

13.3 ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

13.4 ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე ხელშეკრულების შესაბამისად უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, ელექტრონული წერილის ან ფაქსის სახით ორიგინალის შემდგომი წარდგენით ხელშეკრულებაში მითითებული მხარის მისამართზე. შეტყობინება ძალაში შედის ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელიც უფრო გვიან დგება.

13.5 ხელშეკრულება და მასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის, შესრულდება ქართულ ენაზე.

13.6 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ოთხი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლიარად და იანხება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი ინახება მიმწოდებელტან, სამი - შესყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი ხელმოწერა უნდა შეწსრულდეს ქართულ ენაზე.

13.7 ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება და დამატება ძალაშია მხარეთა ხელმოწერის მომენტიდან.

მუხლი 14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების მე-7 მუხლში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2017 წლის 26 სექტემბრამდე

მუხლი 16. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი:	მიმწოდებელი:
სიღნაღის მუნიციპალიტეტის გამგეობა	ი/მ ,,ირაკლი ჯიქურაშვილი''
ქ. სიღნაღი, აღმაშენებლის 2	ქ. გურჯაანი, სოფ. დარჩეთი
ს/კოდი 240417223	ს/კოდი 13001010645
ს.ს სახელმწიფო ხაზინა	ს.ს ,, ლიბერთი'' ბანკი
ბანკის კოდი TRESGE22	ბანკოს პოდი LBRTGE22
ა/ნ GE42NB0330100200165022	ა/ნ GE16LB0112115102223000
სიღნაღის მუნიციპალიტეტის	
გამგებელი: /დ.ჯანიკაშვილი/	ი/მ : / ი. ჯიქურაშვილი /